პირველი ადგილი

სალომე ჯიმშიტაშვილი

თიანეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის

XI კლასის მოსწავლე

"სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი"

თავისუფლება და მონობა, ეს ორი ცნება შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი მდგომარეობის დონეზე განვიხილოთ - ადამიანი ბუნებით მესაკუთრე არსებაა, რომელსაც სჭირდება გარკვეული საკუთრება თავისი მფლობელობის გავრცელებისა და ამით საკუთარი ელემენტარული, ადამიანური მე-ს შეგრძნობისათვის. ამ ყველაფრის მიღწევა ადამიანს გარკვეული დროის განმანვლობაში, მონობაშიც შუძლია. ოღონდ ისე, რომ ჩახშული იყოს ყველა მოთხოვნა საკუთარი პიროვნული მე-ს განვითარებისა და მორალური პრინციპების ჩამოყალიბებისა.

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ვერ ეგუება ასეთ სიცარიელეს, მარწუხებს და მხოლოდ მატერიალური "ფასეულობებით" დაკმაყოფილებას, იწყებს გამოსავლის ძიებას - იბრძვის თავისუფლებისათვის.

რას ნიშნავს იყო თავის-უფალი? პირველ რიგში დამოუკიდებლობას აზროვნებაში, არჩევანში, ცხოვრებაში... იყო თავისუფალი, ნიშნავს წარმართავდე საკუთარ თვითშეცნობას, რომლითაც იწყება გარესამყაროს შეცნობა. საკუთარი პრინციპების, მისწრაფებების, ჩამოყალიბებას. იყო თავისუფალი, ნიშნავს ეძიებდე საკუთარ პიროვნებას. როცა გიჩნდება ეს მისწრაფება, შენ აღარ ხარ ბრბოს ნაწილი, რომელიც "ელემენტარული ფასეულობებით" კმაყოფილდება. შენ იმ საზოგადოების ნაწილი ხდები, რომელსაც გარდატეხის მოხდენა შეუძლია თანამედროვე ცხოვრების დინებაში.

მონობისა და თავისუფლების ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივი მდგომარეობით შორეულ წარსულში. საკუთრების ქონის, ან არქონის უფლებით. (თუმცა, ამ შემთხვევაშიც თავისუფლების მებრძოლი, ბევრად უფრო ამაღლებული და მისაბაძია, ვიდრე მონობაში გადიდკაცებული). ეს ცნებები ჩემთვის ორ პიროვნულ სხვადასხვაობასთან იგივდება. ერთნი ისწრაფვიან თავისუფლებისაკენ. ერთნი კი არც ფიქრობენ ეძიონ რაღაც სხვა, მატერიალურზე ამაღლებული. ნათქვამია: ამქვეყნად ყველა ადამიანია, მაგრამ მათგან ცოტაა პიროვნება. სწორედ ამ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნიან თავისუფლებისთვის მებრძოლნი. მაშინ, როცა გიჩნდება თავისუფლებისკენ სწრაფვის, მისთვის ბრძოლის სურვილი, რა თქმა უნდა გაცნობიერებული გაქვს მონობის საშინელება, არარაობა. მონობა, ეს ხომ პიროვნულობის ძიებისთვის შეუსაბამო მდგომარეობაა და არ აქვს მნიშვნეობა ამ დროს მოპოვებული

”დიდკაცობას”, რადგან მონობა, მონობადვე დარჩება. ამ დროს ექვემდებარები სხვას, მოქცეული ხარ ვიწრო საზღვრებში.

რატომ უჩნდება ადამიანს სურვილი იყოს თავისუფალი? ადამიანში არსებობს სული, ყველაფერზე ღრმა და ამაღლებულიო, რომელიც მაშინ იღვიძებს, როცა იწყება პიროვნებად ჩამოყალიბება. ამ დროს სული მთელი ძალით ესწრაფვის თავისუფლებას და იწყებს მისთვის ბრძოლას...

რა სჯობს? დაიბადო ადამიანად, იცხოვრო ყოველგვარი პიროვნული მისწრაფების, ამაღლების, განვითარების სურვილის გარეშე, ”გადიდკაცდე” მონად და მოკვდე ისევ ადამიანად, თუ ადამიანად დაბადებულმა შეძლო გადადგა დიდი ნაბიჯი, პიროვნული ჩამოყალიბებისკენ, აღმოაჩინო სული, იბრძოლო თავისუფლებისათვის და თუნდაც შეეწირო მას, მაგრამ მოკვდე პიროვნებად, მაძიებელ, მებრძოლ სულად, რომელმაც მომავალს მოსაბაძი მაგალითი დაუტოვა თუ რისთვის ღირს თავგანწირული ბრძოლა...